სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #89-21 ბრძანებით; 27.04.2021

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #97-22 ბრძანებით; 21.06.2022

რექტორის #182-22; 26.09.2022

რექტორის #37-23; 20.02.2023

რექტორის #154-23; 19.09.2023

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასები შედეგები და მათი გამოყენების წესი

თბილისი

2023

1. ზოგადი დებულებები

1. **ხარისხის უზრუნველყოფა**
   1.1. ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლის, სწავლების, კვლევისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით. ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს ა) საგანმანათლებლო პროგრამების, ბ) სასწავლო პროცესის, გ) აკადემიური პერსონალის, დ) სწავლის შედეგების ხარისხს.
   1.2. ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების მიზანია საგანმანათლებლო პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, მუდმივი სრულყოფა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე მორგება, ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
   1.3. ხარისხის შეფასების შედეგები წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის საკვანძო დოკუმენტს, რომელშიც პასუხი უნდა გაეცეს სულ მცირე შემდეგ კითხვებს: რა იყო დაგეგმილი (და სამიზნე ნიშნულები), როგორია ფაქტობრივი მდგომარეობა, რამდენად დიდია ცდომილება, აღნიშნული საფუძველზე უნდა მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი, შეფასება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და გაუმჯობესების გზების ჩამოყალიბება, რაც აისახება ხარისხის შეფასების დასკვნებში.
   1.4. ხარისხის მართვის სამსახური მუშაობს QA სამსახურის მუშაობის საერთო საუნივერსიტეტო PDCA პრინციპით: P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება, რომლის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას, განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ/შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემმოწმებლ(ებ)ის კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, თავად ამოწმებს ან/და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანებების წარმოქმნის მიზეზებს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს, კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1.5. *<u>დაგეგმვა:</u>* უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის და წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური ყოველი სასწავლო წლისთვის განსაზღვრავს ჩასატარებელ სამუშაოს, რასაც ასახავს ყოველწლიურ სამუშაო (სამოქმედო) გეგმაში.

1.6. *<u>განხორციელება:</u>* განხორციელების მოსამზადებელი ეტაპებია: შემოწმების თანამიმდევრობის განსაზღვრა, შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრა; შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შემუშავება; შეფასების პროცედურის, შეფასებისა და შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავება, შემფასებლ(ებ)ის კომპეტენციების განსაზღვრა შესაფასებელი ობიექტის შესაბამისად. შემოწმების/შეფასების ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ან/და შემოწმების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ხარისხის მართვის სამსახურმა შეიძლება შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ სათანადო კომპეტენციის მქონე უნივერსიტეტის თანამშრომლები ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირები. მონიტორინგის ჯგუფის წევრი ვერ იქნება შესაფასებელი სტრუქტურის თანამშრომელი, შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორი. უშუალოდ შეფასების ეტაპის დაწყებამდე ხარისხის მართვის სამსახური მონიტორინგის ჯგუფის წევრებს განუმარტავს შესაფასებელი ობიექტის და ჩასატარებელი შეფასების სპეციფიკას, გააცნობს დასახულ ამოცანებს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარებს ტრენინგს.

1.7. *<u>შემოწმება</u>*: შემოწმების/შეფასების პროცესი მოიცავს საკუთრივ შემოწმების/შეფასების პროცესს; მონიტორინგის ჯგუფის გამართული მუშაობის მიზნით შესაბამისი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან აუცილებელი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფას და მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის კონტროლს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარსხის მართვის სამსახურის მიერ შემოწმდება: საგანმანათლელო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სხვ.

1.8. *<u>რეაგირება</u>*: ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დასკვნების და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით მომზადებასა და ზეპირ წარდგენას. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ხარვეზების და

სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საჭირო ხდება სათანადო რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება.

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

2.1. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი

გ) საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი

დ) საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი.

2.3. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებია:

ა) ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ბ) ინგლისურენოვანი ან/და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების ცალკეული კომპონენტების ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნის ან/და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სააკრედიტაციო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა.

გ) საჭიროების შემთხვევაში განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

3. მონაცემები და ანალიზის მეთოდები

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში წარმოებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლის/პოტენციური დამსაქმებლის, სტუდენტისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი არის ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავდება ის ძირითადი მოთხოვნები, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამაში.

3.2. უნივერსიტეტში მოქმედებს კითხვარების ანალიზის ოთხეტაპიანი ციკლი. პირველ ეტაპზე ხდება მონაცემების შეგროვება ცალკეული კითხვარების მიხედვით. მეორე ეტაპზე ხდება მონაცემების შედარება საბაზისო წლისა და წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ კომპონენტებთან კითხვარების მიხედვით. მესამე ეტაპზე ხდება შეფასების შუალედური შედეგების მიღება

(*დანართი შ/შ 1.1. - შ/შ 1.16)* ცალკეული კითხვარის კომპონენტების დაჯგუფების გზით და მათი შედარება საბაზისო წლისა და წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ შუალედურ შედეგებთან, ხოლო დასკვნით ეტაპზე ხდება ხარისხის შეფასების საბოლოო შედეგების მიღება *(დანართი ხ/შ 2.1-ხ/შ 2.4)* და მათი შედარება საბაზისო წლისა და წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი**

4.1. უნივერსიტეტში ხორციელდება ორი ტიპის შეფასება:

ა) შეფასდება ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შემუშავების პროცესშია;

ბ) შეფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამა, მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

4.2. თითოეული ტიპის საგანმანათლებლო პროგრამისთვის შეფასების მიზნები და მექანიზმები განსხვავებულია.

5. **შემუშავების პროცესში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება**

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზანია იმის დადგენა, რომ

ა) საგანმანათლებლო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს პოტენციური დამსაქმებლის მოთხოვნებს და ითვალისწინებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოსაზრებებს;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან;

გ) საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან;

დ) სასწავლო პროცესი და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სწავლების იმ ხარისხს, რომელიც საჭიროა ა და ბ მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, თითოეული მიმართულებით, ხარისხის მართვის სამსახური იყენებს ხარისხის შეფასების განსხვავებულ მექანიზმებს.

5.2. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაში მონაწილეობს აკადემიური/მოწვეული პერსონალი და პოტენციური დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები, რისთვისაც შემუშავებულია:

ა) შრომის ბაზრის კვლევის კითხვარი *(დანართი პ/შ 1.1)*

ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი *(დანართი პ/შ 1.2)*

5.3. 5.1-ა კომპონენტის შეფასება ხდება სწავლის შედეგების დამსაქმებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს *დანართი პ/შ 1.1* და *დანართი პ/შ 1.2* დანართის გაგზავნას აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. მიღებული მონაცემების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ვერსია.

5.4. 5.1-ბ კომპონენტის შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების გზით, რომელსაც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

5.5. 5.1-გ კომპონენტის შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამის ცალკეული კომპონენტების (პროგრამის მიზნები, სწავლება-სწავლის მეთოდები, დასაქმების სფერო, სწავლის მეთოდები, შეფასების მეთოდები, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგები, გამოყენებული ლიტერატურა, სასწავლო კურსის სტრუქტურა, საათების განაწილება, კრედიტების რაოდენობა, სილაბუსები და სხვ.) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელსაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახური.

5.6. 5.1-დ კომპონენტის შეფასება ხდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის გზით, რომელსაც ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური ფაკულტეტის დეკანთან ერთად.

5.7. საგანმანათლებლო პროგრამების და მისი სტრუქტურული ელემენტების - მოდულებისა თუ ცალკეული სასწავლო კურსების (სილაბუსების) პროგრამების შეფასებისათვის არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი, რომელიც ამოწმებს შესაბამისობას ამ წესის და მისი დანართების შესაბამისად.

5.8. ხარისხის მართვის სამსახური ადგენს, არის თუ არა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული წინასწარ დადგენილი ფორმების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესის“ ბრძანებით და მისი დანართის ფორმებით. აკადემიურ საბჭოზე შეიძლება მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება, თუ ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნა ამ ნაწილში დადებითია.

5.9. ხარისხის მართვის სამსახური ადგენს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის მიხედვით. აკადემიურ საბჭოზე შეიძლება მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება, თუ ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნა ამ ნაწილში დადებითია.

5.10. ხარისხის მართვის სამსახური ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამის ცალკეული კომპონენტების (პროგრამის მიზნები, ამოცანები,

დასაქმების სფერო, სწავლის სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების მეთოდები, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგები, გამოყენებული ლიტერატურა, სასწავლო კურსის სტრუქტურა, საათების განაწილება, კრედიტების რაოდენობა, სილაბუსები და სხვ.) შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. აკადემიურ საბჭოზე შეიძლება მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება, თუ ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნა ამ ნაწილში დადებითია.

6. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი

6.1. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზანია იმის დადგენა, რომ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით საჭირო სპეციალისტებს;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები ხორციელდება შეუფერხებლად;

გ) კომპონენტების განხორციელებით მიიღწევა სწავლის შედეგი.

6.2. შეფასების პროცესში მონაწილეობს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, რისთვისაც შემუშავებულია:

ა) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი *(დანართი პ/მ 1.1)* და სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი *(დანართი პ/მ 1.1.1);*

ბ) „აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება და საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი“ *(დანართი თ/შ 1.1 პ/მ 1.2);*

გ) „სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და ლექტორის შეფასება“ *(დანართი თ/შ 1.2 პ/მ 1.3),* სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში დამატებით-სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი *(დანართი კ/შ 1.1),* ხოლო სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტებთან მიმართებით- „კვლევითი სემინარის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი“ *(დანართი დ/შ 1.1),* „პროფესორის ასისტენტობის კითხვარი“*(დანართი დ.შ 1.2)* და „სადოქტორო ნაშრომის შეფასების კითხვარი“ *(დანართი დ/შ 1.3),* პრაქტიკის კომპონენტის კითხვარი *(დანართი პ/კ 1.1);*

დ) „დამსაქმებლის მიერ საბაკალავრო-სამაგისტრო-ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი“ *(დანართი პ/მ 1.4*), ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში- „დამსაქმებლის მიერ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი“ *(დანართ პ/მ 1.4.1)* .

ე) „მობილობით გადასულ სტუდენტთა კითხვარი“ *(დანართი მ/გ 1.1),* „მობილობით გადმოსულ სტუდენთა კითხვარი“ *(დანართი მ/გ 1.1).*

6.3. სტუდენტურ საქმეთა სამსახური ახორციელებს 6.2 პუნქტის ა) და დ) კითხვარების შევსებას და ახდენს მონაცემების გენერირებას წინასწარ განსაზღვრულ ფორმაში *(დანართი შ/შ 1.4; დანართი შ/შ 1.4.1; დანართი შ/შ 1.5 და დანართი შ/შ 1.5.1).* 6.2 პუნქტის ბ), გ) და ე) პუნქტით გათვალისწინებული კითხვარების შევსებასა და მონაცემების დაჯამებას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახური, წინასწარგანსაზღვრულ ფორმატში (ხ/შ 2.1).

6.4. ხარისხის მართვის სამსახური ეცნობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგებს (*დანართი ხ/შ 2.1),* სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი (*დანართი ხ/შ 2.2),* სასწავლო პროცესის შეფასების შედეგი *(დანართი ხ/შ 2.3*) და აკადემიური-მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგი *(დანართი ხ/შ 2.4)* რის საფუძველზეც იკვლევს ცვლილებების (გაუმჯობესებას ან გაუარესებას) გამომწვევ მიზეზებს, რისთვისაც დეტალურად ეცნობა იმ მოსაზრებებს, პრეტენზიებს და რეკომენდაციებს, რომელსაც რესპონდენტები აფიქსირებენ კითხვარების შევსების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის ანგარიშს.

6.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანგარიში მოიცავს:
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად, თუ გამოიკვეთა ცვლილებების მასზე რეაგირების საჭიროება, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად ამზადებს „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ანგარიშს“ *(დანართი ა/ნ 1.1),* რომელიც ეყრდნობა შემდეგ მონაცემებს:

ა) გასული საანგარიშო პერიოდის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგებს *(დანართი ხ/შ 2.1)* მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ხარისხის შეფასების შედეგებთან მიმართებით;
ბ) ტენდენციას ცალკეული კომპონენტების მიხედვით და აღნიშნული ტრენდის გამომწვევ მიზეზებს;
გ) ა როგორც პრობლემების, ისე ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც ყალიბდება ახალი გამოწვევები (საფრთხეები და შესაძლებლობები);
დ) რეკომენდაციების პაკეტს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს შედეგის ხარისხის გაუმჯობესებას. (იგულისხმება მომავალი საანგარიშო წელი).

6.6. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება *(დანართი ხ/შ 2.1)* ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია სიხშირე მოდიფიცირდეს.

7. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი

7.1. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტიანად მიიღწევა პროგრამული სწავლების შედეგები განხორციელებული აქტივობების შედეგად.

7.2. შეფასების პროცესში მონაწილეობს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და გამოიყენება შეფასების შემდეგი ინდიკატორები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგი *(დანართი ბ/შ 2.1);*

ბ) სწავლის შედეგის მიღწევის მაჩვენებელი *(დანართი ბ/შ 2.2).*

7.3. ფაკულტეტის დეკანი ეცნობა ხარისხის შეფასების შედეგებს *(დანართი ბ/შ 2.1 და დანართი ბ/შ 2.2* - რომელსაც იღებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ბაზიდან) და ამზადებს სწავლის შედეგების მიღწევის ანგარიშს *(დანართი ა/ნ. 1.2),* ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი.

7.4. სწავლის შედეგების მიღწევის ანგარიში მოიცავს:

ა) გასული საანგარიშო პერიოდის საოპერაციო გეგმას და მათი შესრულების მაჩვენებლებს;

ბ) დასკვნას *(დანართი ბ/შ 2.1 და დანართი ბ/შ 2.2)* მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ხარისხის შეფასების შედეგების შესახებ;

გ) იკვლევს სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების გამომწვევ მიზეზებს, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი აქტივობების გზით (მაგალითად ჩაღრმავებული ინტერვიუ);

დ) ახდენს როგორც პრობლემების, ისე ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც აყალიბებს ახალ გამოწვევებს (საფრთხეებს და შესაძლებლობებს);

ე) აყალიბებს რეკომენდაციების პაკეტს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს შედეგის ხარისხის გაუმჯობესებას მომავალ საანგარიშო წელს.

7.5. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დადებითია, თუ შეფასების მაჩვენებელი აკმაყოფილებს პირობას: „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

7.6. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სავალდებულო სასწავლო კურსებში ყოველსემესტრულად

8. სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი

8.1. სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, არსებობის შემთხვევაში გამოვლინდეს ძირითადი პრობლემები და დაისახოს მათი აღმოფხვრის გზები.

8.2. შეფასების პროცესში მონაწილეობს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი და ადმინისტრაციული პერსონალი, რისთვისაც შემუშავებულია:

ა) სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მაჩვენებელი *(დანართი შ/შ 1.6);*

ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის/სტუდენტის გარემოს შეფასების კითხვარი *(დანართი ს/პ 1.2);*

გ) სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების კითხვარი *(დანართი თ/შ 1.2 პ/მ 1.3),* სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში დამატებით-სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი *(დანართი კ/შ 1.1)* ხოლო სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტებთან მიმართებით- „კვლევითი სემინარის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი“ *(დანართი დ/შ 1.1),* „პროფესორის ასისტენტობის კითხვარი“ *(დანართი დ/შ 1.2)* და „სადოქტორო ნაშრომის შეფასების კითხვარი“ *(დანართი დ/შ 1.3).*

8.3. სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების განხორციელების პროცესში არსებული პრობლემები;

ბ) სწავლების მეთოდების ადეკვატურობა შეფასების მეთოდებთან და კრიტერიუმებთან;

გ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პედაგოგიური თვისებები;

დ) სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი.

8.4. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფარგლებში, რეგულარული გამოკითხვებით და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზით უნივერსიტეტი იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, მისი ცალკეული ელემენტების შესრულების მდგომარეობის შესახებ, ასევე სტუდენტების სასწავლო საქმიანობაზე ზემომქმედ ფაქტორების თავისებურებაზე.

8.5. სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი ითვალისწინებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, რასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მოდული. სტუდენტის აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზის სისტემას საფუძვლად უდევს შეფასებათა „ელექტრონული უწყისი“, რომელიც გამჭვირვალეს ხდის სტუდენტთა აღრიცხვას და შეფასებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს:

ა) აკონტროლოს სემესტრის განმავლობაში სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სახის აქტივობაში მიღებული მიმდინარე შეფასებები;

ბ) თანმიმდევრულად და დროულად შეასრულოს გრაფიკით დადგენილი ყველა სამუშაო.

8.5.1. “სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის“ დადებითი შედეგები:

ა) სტუდენტის შეფასებას აქვს სისტემატური ხასიათი, რაც ზრდის სტუდენტის მოტივაციას;

ბ) გამჭვირვალეა თითოეული სტუდენტის შეფასება, რაც ზრდის შეფასების ობიექტურობას;

გ) უნივერსიტეტის მასშტაბით სასწავლო პროცესის სრული სინქრონიზაცია.

8.6. „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა" - უზრუნველყოფს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტების რანჟირებას მიღებული ქულების მიხედვით. სტუდენტის აკადემიური მოსწრების (შეფასების) სამიზნე ნიშნულებად მიჩნეულია ECTS-ის შეფასების (რანჟირების) სკალა. ECTS-ის რანჟირება ეფუძნება მოცემული შეფასების ფარგლებში სტუდენტის ადგილს, რომელიც მას სხვა სტუდენტებისაგან გამოარჩევს. ECTS-ის მიხედვით ხდება სტუდენტთა გაერთიანება ჯგუფებში, რაც რანჟირების ინტერპრეტაციას აადვილებს. ECTS-ის მიხედვით სტუდენტები ორ ძირითად ჯგუფად: ჩაჭრილ და გამოცდა ჩაბარებულ სტუდენტებად იყოფიან.

8.7. აკადემიური მოსწრების შედეგების ეფექტიანობის სამიზნე ნიშნულს წარმოადგენს ECTS-ის რანჟირების სკალა, რომლის მიხედვით გამოცდა ჩაბარებულთა ჯგუფის სამიზნე ნიშნულები როგორც წესი არის : სტუდენტების 10% იღებს A შეფასებას, მომდევნო 25% - B შეფასებას, შემდეგი 30% - C-ს, შემდეგი 25% - D-ს, და ბოლო 10% კი - E-ს. ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობას ECTS-ის რანჟირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ შეფასებულია სტუდენტთა დიდი ჯგუფი ერთისა და იმავე კურსის/მოდულისათვის ერთსა და იმავე დროს, სიტუაცია მარტივდება, რადგანაც შეფასების შედეგები შეიძლება პირდაპირ იქნეს გამოყენებული ECTS-ის რანჟირებისათვის. სტუდენტთა ჯგუფი, რომელშიც სულ მცირე 60% მაინც მიიღებს გამსვლელ ქულას, ითვლება მართებული შეფასებისთვის საჭირო მინიმალურ რაოდენობად.

8.8. კითხვარების შევსებისა და მონაცემების შეგროვების პროცესს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს მონაცემების დაჯამებას წინასწარგანსაზღვრულ ფორმატში *(დანართი ხ/შ 2.3 და (დანართი შ/ი 1.2)* და მიღებულ შედეგებს უგზავნის ფაკულტეტის დეკანს, ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში-სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს.

8.9. ფაკულტეტის დეკანი/სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის სამსახური ეცნობა ხარისხის შეფასების შედეგებს და იკვლევს ცვლილებების (გაუმჯობესებას ან გაუარესებას) გამომწვევ მიზეზებს, რისთვისაც დეტალურად ეცნობა იმ მოსაზრებებს, პრეტენზიებს და რეკომენდაციებს, რომელსაც რესპონდენტები აფიქსირებენ კითხვარების შევსების პროცესში.

8.10. ხარისხის მართვის სამსახური ამზადებს დასკვნას სასწავლო პროცესის შეფასების შესახებ *(დანართი დ2,* რომელიც მოიცავს ინფორმაციას ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით).

8.11. სასწავლო პროცესის შეფასების დასკვნა მოიცავს:

ა) გასული საანგარიშო პერიოდის საოპერაციო გეგმას და მათი შესრულების მაჩვენებლებს;

ბ) დასკვნას *(დანართი ხ/შ 2.*3) მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ხარისხის შეფასების შედეგების შესახებ;

გ) იკვლევს ტენდენციას ცალკეული კომპონენტების მიხედვით და აანალიზებს აღნიშნული ტრენდის გამომწვევ მიზეზებს;

დ) ახდენს როგორც პრობლემების, ისე ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც აყალიბებს ახალ გამოწვევებს (საფრთხეებს და შესაძლებლობებს);

ე) აყალიბებს რეკომენდაციების პაკეტს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს შედეგის ხარისხის გაუმჯობესებას გონივრულ ვადაში.

8.12. სასწავლო პროცესის შეფასება დადებითია, თუ შეფასების მაჩვენებელი აკმაყოფილებს პირობას: „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

8.13. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სემესტრში ერთხელ.

9. აკადემიური/მოწვეული პერსონალის აკადემიური შეფასების მექანიზმი

9.1. აკადემური პერსონალის ხარისხი განისაზღვრება მისი სწავლებისა და სამეცნიერო კომპეტენციით. აკადემიური პერსონალის უპირველესი დანიშნულება სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემაა. სწავლების ხარისხის დადგენისათვის რეკომენდირებულია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:

ა) პროგრამის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარი - იგულისხმება სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა;

ბ) უშუალოდ სწავლების, ანუ ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი - იგულისხმება სტუდენტების მოტივირება, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსით დაინტერესება სტუდენტების მხრიდან, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება და სხვა;

გ) დარგობრივი კომპეტენცია - საგნის ცოდნა, დარგობრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა, დარგობრივი სფეროს ადგილი სხვა დისციპლინების მიმართ და სხვა;

დ) კურსის მართვის უნარი - იგულისხმება სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება, როგორიცაა მაგ., კონსულტაციები.

9.2. სწავლების კომპეტენციის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება და საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი.

ბ) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის განმახორციელებლების შეფასება, სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში

დამატებით - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი, ხოლო სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტებთან მიმართებით- „კვლევითი სემინარის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი“, „პროფესორის ასისტენტობის კითხვარი“ და „სადოქტორო ნაშრომის შეფასების კითხვარი“.

9.3. ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდეგ ხდება შუალედური შეფასებების წინასწარ განსაზღვრულ ფორმატში *(დანართი შ/შ 1.1 შ/შ 1.2; დანართი შ/შ 1.7 შ/შ 1/9; დანართი შ/შ 1.10; დანართი შ/შ 1.11; დანართი შ/შ 1.12; დანართი შ/შ 1.13; დანართი შ/შ 1.14; დანართი შ/შ 1.15; დანართი შ/შ 1.16)* მონაცემების გენერირება. ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს მონაცემების დაჯამებას წინასწარ განსაზღვრულ ფორმატში *(დანართი ხ/შ 2.4 და შ/ი 1.1)* და შედეგებს უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს , ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში- სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს.

9.4. ხარისხის მართვის სამსახური ამზადებს დასკვნას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შესახებ *(დასკვნა დ1* რომელიც მოიცავს ინფორმაციას ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით).

9.5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება სემესტრში ერთხელ.

9.6. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ჩაითვლება დადებითად, თუ შეფასების მაჩვენებელი აკმაყოფილებს პირობას: „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

10. ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმების ეფექტიანობის ნიშნულები

10.1. შეფასების ყველა მექანიზმში ეფექტიანობის დასადგენად გამოიყენება შედარების მეთოდი.

10.2. ყოველ წელს მიღებული შედეგი დარდება გასული წლის შედეგებს. მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე დგინდება გაუმჯობესების ან გაუარესების დინამიკა.

10.3. თითოეულ მექანიზმში დგინდება სამი დონე:

ა) შეესაბამება სტანდარტებს, თუ - პროცენტული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია თითოეული კომპონენტის მიხედვით

ბ) ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტებს, თუ - პროცენტული მაჩვენებელი არ შეიცვალა რომელიმე შეფასების რომელიმე კომპონენტში/ქვეკომპონენტში

გ) არ შეესებამება სტანდარტებს, თუ - პროცენტული მაჩვენებელი გაუარესდა შეფასების რომელიმე კომპონენტში/ქვეკომპონენტში

11. ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება

11.1. ხარისხის შეფასების შედეგები კონცენტრირდება ხარისხის შეფასების ანგარიშსა და ხარისხის შეფასების დასკვნებში. ხარისხის შეფასების შედეგებს ამზადებს ხარისხის მართვის სამსახური.

11.2. ყოველი სასწავლო სემესტრის დასრულებიდან ახალი სემესტრის დაწყებამდე, მიმდინარე სემესტრში სასწავლო კურსის/კურსების განმახორციელებელი (აკადემიური და მოწვეულ პერსონალი) იღებს სტუდენტის მიერ მის შესახებ გამოკითხვის შედეგს. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებლის შეფასება წარმოადგენს აღნიშნული პიროვნების საკუთრებას, რისი გასაჯაროების უფლება უნივერსიტეტს არა აქვს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. აკადემიური/მოწვეული პერსონალი იყენებს შეფასების შედეგებს და ზრუნავს ადამიანური რესურსების განვითარებისთვის, ხოლო პროფესიული განვითარების შედეგებს ასახავს თვითშეფასების კითხვარში *(დანართი თ/შ 1.1 ბ/მ 1.2).* გამოკითხვის განზოგადებული შედეგები ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს სასწავლო პროცესისა და პერსონალის შეფასებისათვის, რომელიც აისახება შესაბამისი ხარისხის შეფასების დასკვნებში.

11.3. შესაბამისად, ხარისხის შეფასების შედეგებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგი *(დანართი ხ/შ 2.1)*

ბ) სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლები *(დანართი ხ/შ 2.2)*

გ) სასწავლო პროცესის შეფასების შედეგი დანართი *(დანართი ხ/შ 2.3.)*

დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგი *(დანართი ხ/შ* 2.4)

11.4. ხარისხის შეფასების ანგარიშებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ანგარიში *(დანართი ა/ნ 1.1)*

ბ) სწავლის შედეგების მიღწევის ანგარიში *(დანართი ა/ნ 1.2).*

11.5. ხარისხის შეფასების დასკვნებია:

ა) დასკვნა აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შესახებ *(დანართი დ1).*

ბ) დასკვნა სასწავლო პროცესის შეფასების შესახებ *(დანართი დ2).*

11.6. ხარისხის მართვის სამსახური შედეგებს გასაცნობად უგზავნის ფაკულტეტებს, ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში-სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს. ფაკულტეტები ფაკულტეტის საბჭოზე, ხოლო სადოქტორო სკოლა სადისერტაციო საბჭოზე განიხილავენ და აყალიბებენ შესაბამის რეკომენდაციებს, მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახური ამზადებს საბოლოო დასკვნებს და ანგარიშს.

11.7. ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიში და დასკვნები წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

11.8. წარმოდგენილი ანგარიშისა და დასკვნების საფუძველზე, აკადემიური საბჭო აყალიბებს სამოქმედო გეგმას, რომელიც აისახება შესაბამისი ოქმის დანართში.

11.9. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს რეაგირების ფორმას და მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: პრობლემის აღწერა; მოქმედებათა მოწესრიგებული ერთობლიობა; მოქმედების შესრულების ვადები; მოქმედების

შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები; მოქმედების განსახორციელებლად საჭირო რესურსები.

11.10. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საოპერაციო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

11.11. სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია აისახება შემდეგი საანგარიშო პერიოდის შესაბამის ანგარიშებში.